ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3274673

ნომერი: AR1500555

თარიღი : 04.05.2017

გაცემის თარიღი : 22.05.2017

გაცნობის თარიღი : 23.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრონშტანტი , (ცაგარელის) N72 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაგარელი , N 70 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ რობაქიძე პ/ნ 01005018491
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 171/7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 4 მაისს №AR1500555 განცხადებით მომართა ვლადიმერ რობაქიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016

წლის 21 მაისის N1500555 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2015 წლის 8 დეკემბრის №2331764 ბრძანებით ქ.თბილისში, ქუჩა კრონშტანტი,(ცაგარელის) 72 /ქუჩა ცაგარელი N78, შ.პ.ს. „სამშენებლო კომპანია მერკური ჯგუფის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: N01.10.14.022.012) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. ხოლო სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 დეკემბრის №2331764 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდა: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3304,4; საერთო ფართობი (კვ.მ).: 5398,1; ასევე, №2331764 ბრძანებით შეთანხმებული +33.3 ნიშნულის საპროექტო გეგმა ჩანაცვლდა განმცხადებლის მიერ 2016 წლის 28 მაისის №AR1407720 განცხადებით წარმოდგენილი იმავე ნიშნულის გასწორებული საპროექტო გეგმით. განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ არასწორადაა მითითებული საცხოვრებელი ფართობი, ნაცვლად 3304.4 კვ.მ-ისა, უნდა იყოს 3303.4 კვ.მ.
წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3303,4 კვ.მ. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანებასთან.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანებაში და სარეზოლუციო ნაწილში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3303,4 კვ.მ. სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 მაისის N1500555 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.